დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ედიშერაშვილი

წევრები:

მაკა ტუკვაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ევგენი გუგულაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202056381

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი
საფოსტო ინდექსი	0119
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/2tYIw
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi169@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322518688, 599970209

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9240001625248 - 18/12/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30/12/2024-31/12/2024

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვარტალი, ორი ძირითადი შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეზური	ქართული	ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვარტალი ორი ძირითადი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქ. თბილისი დიღმის მასივი II კვარტალი ორი ძირითადი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არებობის შემთხვევაში).

სსიპ თბილისის N169 სკოლას აქვს STEM ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსებით (არდუინო სისტემები, რობოტექნიკა, ლეგოები, დრონები, 3D პრინტერი, ჭკვიანი დაფა). სკოლაში მუშაობს რობოტიკის კლუბი. მოსწავლები არდუინო სისტემებით ქმნიან საინტერესო პროექტებს. სკოლა აქტიურად არის ჩართული STEM აქტივობებში, გამოფენებსა და კონფერენციებში.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კლუბებს მათი ინტერესების გათვალისწინებით. კლუბები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლის გარეთ.
სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელიც ანხორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს, აინიცირებს სასკოლო პროექტებს, ჩართულია CENN, ნიკო კეცხოველის პროექტებსა და აქტივობებში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2100 (ორ ცვლად)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტჩილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული* მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.	*სკოლის სტრუქტურისა და თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობების გამჭვირვალეობისა და მკაფიოდ გადანაწილების მიზნით, სასურველია არაფორმალური განათლების კოორდინატორის პოზიცია დაემატოს სკოლის სტრუქტურის დიაგრამაში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში.*
3.1.2.5	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;	*სასურველია, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კათედრის ფუნქციები თანხვედრაში მოვიდეს სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან და დაემატოს კათედრის ფუნქციების დეტალური აღწერა კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებაში.*
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებისა N41/ნ/01-23/ნ და სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია კიდევ ერთი ექიმის შტატის დამატება და შესაბამისი პერსონალის შერჩევა.*
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური	*პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც განახორციელებს პერსონალური*

	მონაცემების დაცვას;	*მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესაბამისი პროცესების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*
3.4.1.8	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	*სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განახორციელებს სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები, რომლებიც წარმოადგენს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალებას/შემოქმედებით პროდუქტებს, დაურთოთ ჩარჩოს ქვევით. საკითხების ჩამონათვალი (მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში) სჯობს, დაჯგუფდეს ძირითად საკითხად ან საკითხთა მსხვილ კლასტერებად.* *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთგვაროვანი სტრუქტურა უცხოური ენის კათედაზე შემავალი ყველა საგნისათვის.* *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის და მოქალაქეობის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საკითხები მიემართოს სამიზნე ცნებას/ცნებებს (ვრცლად იხილეთ შესაბამისი ჩეკლისტი).* *ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი: I და II კლასის კურიკულუმებში თემაში ,,ფესტივალი მხიარული სტარტები“ დაკონკრეტდეს და მიეთითოს კონკრეტული თემა(სპორტის სახეობა).*
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი: კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილი ძირითადი აქტივობების გარდა, საგნობრივ კურიკულუმში სასურველია, ასახოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები. შესაძლებელია, საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს სასწავლო მიზნებთან კავშირში ის მდიდარი გამოცდილება და საინტერესო აქტივობები, რომლებიც განხორციელდა და იგეგმება ეკოკლუბის მიერ.* *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენისა და რუსული ენის კურიკულუმის*

		ჩარჩოებში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად. *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:* ***დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასურველია მიეთითოს საათების განაწილება თემების მიხედვით.*** *კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, საგნობრივ კურიკულუმში მოცემული ყველა შუალედური მიზნისათვის განისაზღვროს შესაბამისი აქტივობები.*** *ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა.***
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია V-VI კლასებში განმავითარებელ შეფასებებთან ერთად, რომელიმე თემასთან კავშირში, წარმოდგენილი იყოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც.*** *ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად.***

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში (ყველა საბუნებისმეტყველო საგანში) წარმოდგენილი შუალედური მიზნების/კონკრეტულ თემებთან დაკავშირებულ კომპლექსური ბუნების დავალების/შემოქმედებით პროდუქტების აღწერილობა დაურთოთ კურიკულუმის ჩარჩოს ქვევით (ვრცლად იხილეთ შესაბამისი ჩეკლისტი).* *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთგვაროვანი სტრუქტურა უცხოური ენის კათედაზე შემავალი ყველა საგნისათვის.* *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საკითხები მიემართოს სამიზნე ცნებას/ცნებებს და იძლეოდეს ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას (ვრცლად იხილეთ შესაბამისი ჩეკლისტი).*
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი: ძირითადი აქტივობების გარდა, საგნობრივ კურიკულუმებში, სჯობს, უკეთ ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები. სკოლის გაზაზე მოქმედებს მდიდარი გამოცდილების ეკოკლუბი, რომლის აქტივობებმა კათედრაზე სათანადო შეფასების და სასწავლო თემებთან დაკავშირების შემდეგ სასკოლო კურიკულუმი შესაძლოა, გახადოს უნიკალური.* *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: სასურველია, ინგლისური და რუსული ენების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ინგლისური ენის IX კლასის და ასევე, რუსული ენის VIII, IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში დაზუსტდეს სამიზნე ცნებების სახელწოდებები, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად.*

		ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტი: ***სასურველია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა.***
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი:* ***შემაჯამებელ დავალებებში სჯობს, გავზარდოთ ფუნქციურ ცოდნაზე ორიენტირებული დავალებების წილი. შემაჯამებლის შეფასების სქემა კი დავაკონკრეტოთ თემასთან/საკითხთან მიმართებით და დავუკავშიროთ გრძელვადიან მიზანს ესგ შედეგების მითითებით.*** *ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად.***
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, გაკეთდეს ქიმიის საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილი და გათვალისწინებული ყველა რეაქტივის ჩამონათვალი, მასალების შეძენის შედეგ განთავსდეს შესაბამისი უსაფრთხოების დაცვით, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებაზე. პარალელურად, ცდაში მონაწილე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი ეკიპირებით (ხალათი, სათვალე, წინსაფარი).***

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	*უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩოს ერთგვაროვანი სტრუქტურა უცხოური ენის კათედაზე შემავალი ყველა საგნისათვის.*** *საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:* ***წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში დაგეგმილი შუალედური მიზანი/ კომპლექსური ბუნების დავალება/შემოქმედებით პროდუქტი, დაურთეთ დეტალური აღწერით ჩარჩოს ქვევით. დავალებაში მკაფიოდ ჩანდეს საკითხი, პროდუქტი, შეფასების კრიტერიუმი გრძელვადიან მიზანთან კავშირში.*** *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, ყველა თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. საკითხები მიემართოს სამიზნე ცნებას/ცნებებს და იძლეოდეს ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას (ვრცლად იხილეთ შესაბამისი ჩეკლისტი).*** *ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია კათედრამ შეიმუშაოს რაიმე სახის ჩარჩო, სადაც გაიწერება შერჩეული პროექტი ყველა აუცილებელი კომპონენტით (პროექტის თემა, მიზანი, მისაღწევი შედეგები, აქტივობები, რესურსები, რისკები და ა.შ.) და ექნება სტრუქტურიზებული სახე.***
2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი:* ***კურიკულუმის ჩარჩოთი ან მატრიცებით წარმოდგენილ ძირითად აქტივობებს გარდა, საგნობრივ კურიკულუმში სჯობს, მეტად ჩანდეს მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული აქტივობები, მაგ; პროექტული დავალებები, STEM აქტივობები, ასევე სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე ეკოკლუბის აქტივობები, რომლებიც კავშირშია კურიკულუმში ასახულ სასწავლო თემებთან.*** *უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, ინგლისური და რუსული ენების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში,***

		სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. (ვრცლად იხილეთ შესაბამისი ჩეკლისტი). *ესტეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს შერჩეულ თემას, მისაღწევ შედეგებსა და შესაბამის აქტივობებს შორის კავშირები.***
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	*ფიზიკური აღზრდა და სპორტის საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად.***
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	*საბუნებისმეტყველო საგნობრივი ექსპერტი:* ***სასურველია, გაკეთდეს ქიმიის საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილი და გათვალისწინებული ყველა რეაქტივის ჩამონათვალი, მასალების შეძენის შედეგ განთავსდეს შესაბამისი უსაფრთხოების დაცვით, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებაზე. პარალელურად, ცდაში მონაწილე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი ეკიპირებით (ხალათი, სათვალე, წინსაფარი).***

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული მიგნებები და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

1. *ექსპერტთა ვიზიტის დროს რამოდენიმე მასწავლებლის პირად საქმეში არ იძებნებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. ვიზიტის შემდგომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა ცნობები თითოეული მასწავლებლის შესაბამისად, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში მასწავლებლები შერჩეულნი არიან სახელმწიფო კანონმდებლობისა და სკოლის მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით.*
   სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. *ვიზიტის დროს სკოლის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან მიწერილობა, ან დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, არ იყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, ან/და მიწერილობა სკოლის მხრიდან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების შესახებ. ვიზიტის შემდგომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა:*
   ა) შპს „ჯეოელექტრო“-ს საგამოცდო ლაბორატორიის დასკვნა სრული დანართებით. დასკვნაში აღწერილია, რომ ელექტროენერგიის მიწოდების მაჩვენებლები თანაბრად ნაწილდება და სტანდარტების შესაბამისია, სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა და კვამლის დეტექტორები მოქმედებაშია, მოდინებითი ვენტილაციის გამწოვი სისტემების რეკუპერატორები დატესტილია. ასევე განხორციელდა წყალმომარაგების სახანძრო ჰიდრავლიკური ტესტირება. დასკვნაში აღნიშნულია, რომ არსებული სისტემები და მაჩვენებლები მისაღებია და მზადაა ჩაბარებისთვის. ასევე განხორციელდა გათბობის სისტემების გამართულობის ტესტირება. სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ყველა მოწყობილობა და შემადგენელი კომპონენტი დადებითად შეფასდა.

გ)"შპს ბალავარის" მიერ სკოლაში განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დეტალური ანგარიში, რაც წარმოადგენს ვრცელ დოკუმენტს,ზედმიწევნით არის აღწერილი თითოეული რეაბილიტირებული ზონის ზომები, პარამეტრები, ფოტომასალა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასკვნები. ასევე წარმოადგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია "ეპტისა სერვისიოს დე ინხენიერია ეს. ელ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს "ბალავარს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება, რომ სკოლაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ ასევე წარმოადგინა ოქმი 01.12.2023 დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადის გასვლის შესახებ, სადაც ჩანს, რომ შპს "ბალავარმა" 2022 წლის 25 ნოემბერს დაასრულა სკოლის ენერგოეფექტურობის გაზრდის სამუშაოები, ხოლო დეფექტებზე პასუხისმგებლობის ერთწლიანი ვადა დასრულდა 2023 წლის 1 დეკემბერს. მიმდინარე პერიოდში დეფექტები არ გამოკვეთილა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი და სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლა იბარებს დამთავრებულ სამუშაოებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის სრულფასოვანი მექანიზმები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. *ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმები ხელოვნებასა და მუსიკაში, ასევე მე-12 კლასის კურიკულუმები მოქალაქეობაში, ისტორიაში, საქართველოს ისტორიაში, მოქალაქეობის სავალდებულო პროექტის კურიკულუმი/გეგმა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა ყველა ზემოთ აღნიშნული კურიკულუმი საშუალო საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით სასკოლო კურიკულუმის (საშუალო საფეხურზე) 2.1.2.1, 2.1.2.2, 2.1.2.3, 2.1.2.4, 2.2.1.1, 2.2.2.2, 2.2.2.3 ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა და დამტკიცდა 2024 წლის 5 სექტემბერს.

სკოლის მისია და ხედვა ხაზს უსვამს პატრიოტულ და ეროვნულ ღირებულებებს, რაც პირდაპირ შეესაბამება ეროვნული მიზნების მოთხოვნას, აღზარდოს პატრიოტი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქე. ასევე, სკოლის მისია მიზნად ისახავს ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას, ხაზს უსვამს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას, ითვალისწინებს

ეკოლოგიურ ცნობიერებასა და გარემოზე ზრუნვას, რაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მთავარი კომპონენტებია. სკოლის ხედვა ახსენებს ინკლუზიურ და ინოვაციურ მეთოდებს, რაც სკოლის საზოგადოებას ხელს უწყობს უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული გარემოს შექმნაში.

შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და უზრუნველყოფს მათი ძირითადი პრინციპების განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს მის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
მისიაში წარმოდგენილია რომ სკოლა მიზნად ისახავს შექმნას ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. ეს პირდაპირ ასახავს სკოლის სურვილს, შექმნას უსაფრთხო და თანასწორობაზე ორიენტირებული სივრცე, სადაც მოსწავლეები და საზოგადოება თავს დაცულად და დაფასებულად იგრძნობენ. მისიაში წარმოდგენილია ჰუმანიზმი და დემოკრატიული ფასეულობები, რაც უსვამს, რომ სკოლა არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მოსწავლეების ზნეობრივ და სოციალურ განვითარებაზეა ორიენტირებული. გათვალისწინებულია ეკოლოგიური ცნობიერება და პასუხისმგებლობა, გარემოზე ზრუნვის პრიორიტეტი, რაც მოსწავლეებში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას უწყობს ხელს და სოციო-კულტურული სივრცის ძირითადი ნაწილია.
ხედვა ფოკუსირებულია უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნაზე, რაც პირდაპირ აჩვენებს, რომ სკოლა ზრუნავს უსაფრთხოებაზე, როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ დონეზე, რაც არის ჯანმრთელი სასკოლო კლიმატის ერთ-ერთი მთავარი პირობა. ხედვა ხაზს უსვამს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას, რაც მიგვანიშნებს, რომ სკოლა ღიაა ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი უნარებისა ან განსხვავებებისა, რაც ამყარებს სოციო-კულტურული მრავალფეროვნების იდეას. ყურადღება მახვილდება ინოვაციური სწავლა-სწავლების მეთოდებზე, რაც მიუთითებს, რომ სკოლა მორგებულია თანამედროვე მოთხოვნებს და აქცენტს აკეთებს როგორც პროფესიულ განვითარებაზე, ისე მოსწავლეების ინდივიდუალურ ზრდაზე.
ღირებულებებში გათვალისწინებულია:

- ეთიკური და ზნეობრივი პრინციპების დაცვა - ეს არის საფუძველი სოციო-კულტურული გარემოს შექმნისა, სადაც ყველა მონაწილე გრძნობს, რომ მათ პატივს სცემენ და მათი უფლებები დაცულია.

- თანასწორობა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა - ეს აძლიერებს იდეას, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის არის უსაფრთხო და მისაღები სივრცე.
- პასუხისმგებლობა და სამართლიანობა - ხაზს უსვამს სკოლის ვალდებულებას, უზრუნველყოს სამართლიანი და თანასწორობაზე დაფუძნებული გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა.

სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების აქტივობები, მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობები, საკლუბო მუშაობა არის მტკიცებულება იმისა, რომ სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლის მისიისა და ხედვის შექმნაში ჩართული იყვნენ - მასწავლებლები, კათედრები, სამეურვეო საბჭო, დაინტერესებული პირები,
სკოლაში ვიზიტის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირება, რითაც დასტურდება, რომ მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიზნით, მოხდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირება. დაინტერესებულ პირთა ჯგუფში მომზადდა მისიისა და ხედვის პირველადი ვერსია. უკუკავშირის მიზნით, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ჯგუფები გაეცნენ დოკუმენტს. მათი მხრიდან რჩევა/რეკომენდაციების მიღების შემდეგ, მომზადდა, მისიისა და ხედვის საბოლოო ვერსია. შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები შეთანხმდა პედაგოგიურ საბჭოსთან, ბოლოს განიხილა და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმა, ერთობლივად ახალი მისიითა და ხედვით, შესათანხმებლად წარედგინა სამეურვეო საბჭოს და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში განხორციელდა სკოლის ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, სადამრიგებლო საათზე. დაგეგმილია მისი აქტიური გაზიარება მშობელთა კრებებზეც. სამეურვეო სამჭოში ჩართულია ექვსი მასწავლებელი, ექვსი მშობელი და ერთი მოსწავლე. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის დირექცია ღიაა, რჩევა-რეკომენდაციების გაზიარებისა და მათი გათვალისწინებისათვის, ახალი 2024-2025 სასწავლო წლიდან უფრო აქტიურად გამხორციელდება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან: მშობელთა კრებებზე, კლასის საათზე და სასკოლო შეკრებებზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, სკოლის პირველი სართულის ცენტრალურ ფოიეში საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთი პირველი აქტივობა სწორედ შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, მისიისა და ხედვის გაცნობას ემსახურება. სკოლის მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის პორტალზე: https://shorturl.at/2tYIw, ასევე გასაჯაროვდა სკოლის სოციალურ გვერდზეც.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდებაა - „სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლა“. სკოლის სახელწოდება, რომელიც განსაზღვრულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 და 2017 წლის 16 მარტის N194 „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებების შესაბამისად, რაც სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;**
- **სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის პედსაბჭოს ოქმი N13-14/09/2025;**
- **სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N11-05/09/2023;**
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერება;**
- **სკოლის ვებ-გვერდი: https://shorturl.at/2tYIw**
- **სკოლის სოც. გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100063671378198

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოდგენილი აქვს სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. დოკუმენტში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება. დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი. დეტალურად არის წარმოდგენილი თითოეული ეტაპის განხორციელების პროცედურები. მაგალითად, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს

SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა და უკუკავშირის მიღება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ 2024 წლის სექტემბერში შეიმუშავა და დაამტკიცა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2030), რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარების პროცესის აღწერას, სკოლის მისიას, ხედვას, სკოლის ღირებულებებს, სკოლის მიზნებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს, სტრატეგიულ ამოცანებს წლების მიხედვითSWOT ანალიზს, პრობლემების აღწერას, 4 მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას, პროექტის მატრიცა/გეგმას, მიღწევის ინდიკატორებს, განხორციელების დეტალურ გეგმას. სკოლამ განსაზღვრა სტრატეგიული განვითარების ექვსი მთავარი მიმართულება:

   - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება
   - ადამიანური რესურსის განვითარება
   - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება
   - უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა
   - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა
   - მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება
   - ორგანიზაციული განვითარება

   წარმოდგენილია თითოეული მიმართულების რელევანტირი ამოცანები. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2024 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის SWOT ანალიზის გათვალისწინებით. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გამოკითხვის ფორმები, ანალიზის ფორმები, რაც საშუალებას მისცემს მათ შეაგროვონ ისეთი მონაცემები და მოახდინონ მისი ანალიზი, რაც აისახება სამოქმედო გეგმებზე. ამის გარდა, სკოლა სამომქედო გეგმის შედგენისას იყენებს გასული სასწავლო წლის მონიტორინგის შედეგებსაც.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტური აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, მტკიცებულებები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკ სამ. საბჭოს სხდომის ოქმი N7 - 07.05.2024)
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N13-04/09/2024;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2030 წლები);
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწ. წელი);
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი;
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-7 და მე-11 მუხლები ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობის შესრულება, შესაძლებელია, შემსრულებელ პირზე/სტრუქტურულ ერთეულზე მოხდეს სხვადასხვა უფლებამოსილების დელეგირება.
   ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია ადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა პირველადი ავტორიზაციის ფორმატშია. აქედან გამომდინარე, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.**

3. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროება განხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით:

   - სკოლის ვებ-გვერდი;
   - ელექტრონული ფოსტა;
   - დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
   - სკოლის სოციალური გვერდი;
   - საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;
   - ბეჭდვითი მასალები.

   სკოლა პირველადი ავტორიზაციის ფორმატშია. აქედან გამომდინარე, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე,შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ

არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

სკოლა პირველადი ავტორიზაციის ფორმატშია. აქედან გამომდინარე, მოცემული ინდიკატორი არ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების მეორე თავით. სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო (6 მასწავლებელი, 6 მშობელი, 1 თვითმმართველობის წარ. მოსწავლე), პედაგოგიური საბჭო (64 მასწავლებელი), მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, დირექცია (დირექტორი, დირ. მოადგილე, ბუღალტერი), ადმინისტრაცია (მტუკი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი), ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი (1 ექიმი, 1 ფსიქოლოგი, 2 ენისა და მეტყველების სპეც, 11 სპეც. საგ. საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ცეცხლფარეში, 3 დარაჯი, 5 დამლაგებელი, 1 მუშა). სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის, დირექტორის თითოეული სამუშაო პოზიციის ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები“. თანამდებობრივი ინსტრუქციები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

კათედრების, კათედრის ხელმძღვანელის, კლასის დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დირექტორის და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მასწავლებლების უფლება-მოვალეობები დამატებით დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. თანამდებობრივი ინსტრუქციები წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა/დეპარტამენტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობისა და სკოლის მიერ შემუშავებული კათედრის დებულების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია 64 მასწავლებელი და 3 სპეც. მასწავლებელი, 11 სპეც. საჭ. ასისტენტი, შექმნილია ისგ ჯგუფები. ინკლუზიური განვითარების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ხელმძღვანელობს მონიტორინგის ჯგუფის დებულებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებით. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ჯგუფის წევრები ადგენენ მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკს. ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს.

მრჩეველთა საბჭოში წარმოდგენილია დირექციის წარმომადგენელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, მანდატური და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენელი. პრევენციის მიზნით საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აფასებს გაწეული სამუშაოების ეფექტიანობას. ასევე, ისმენს დირექტორის ანგარიშს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით.

სკოლას ასევე ჰყავს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სკოლაში წარგზავნილი 3 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

სკოლის თითოეული სტრუქტურული ერთეული დამოუკიდებლად საქმიანობს, თუმცა ისინი ანგარიშვალდებულნი არიან სკოლის დირექტორის წინაშე.

ამრიგად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

თანამშრომელთა პორადი საქმეების, ხელშეკრულებების შესწავლითა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის დირექტორს მიმდინარე პერიოდში ჰყავს ერთი მოადგილე. სკოლის მიერ ავტორიზაციით მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინების საფუძველზე სკოლას ესაჭიროება, რომ დირექტორს ჰყავდეს სულ მცირე ორი მოადგილე. სკოლის დირექტორმა ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ ამის შესახებ ინფორმირებულია ადგილობრივი რესურსცენტრიც და მოთხოვნა საშტატო ცვლილებაზე კიდევაც გაიგზავნა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, თუმცა აქამდე არ დაკმაყოფილდა. სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორმა მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის ეკონომიკური შემოსავლების გათვალისწინებით დანიშნა სააღმზრდელო და არაფორმალური განათლების კოორდინატორი, რაც ასახულია სკოლის eschool საინფორმაციო ბაზაში. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებულთან დადებულია შესაბამისი ხელშეკრულება, სადაც მითითებულია მისი თანამდებობრივი ფუნქციები და მოვალეობები.

რჩევა:

სკოლის სტრუქტურის დიაგრამაში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში არ ჩანს სააღმზრდელო და არაფორმალური განათლების კოორდინატორის პოზიცია. სკოლის სტრუქტურისა და პოზიციების ფუნქცია-მოვალეობების გამჭვირვალეობისა და მკაფიოდ გადანაწილების მიზნით, სასურველია აღნიშნული პოზიცია დაემატოს დიაგრამაშიც და თანამდებობრივ ინსტრუქციებში და არ დარჩეს მხოლოდ დასაქმებულთან დადებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურა შედგება სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან, კოლეგიური სამუშაო ჯგუფებისაგან (კომისიები/საბჭოები) და თანამდებობრივი პოზიციებისაგან. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მთლიანობაში,

სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.
სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს სკოლის გამართულ მუშაობას. სკოლას აქვს გაზიარებული ლიდერობის კულტურა, სადაც პასუხისმგებლობები მიზნობრივად ნაწილდება. ექსპერტთა ვიზიტის დროს იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულება. ფუნქციები და მოვალეობები რელევანტურად არის გაწერილი სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, კათედრების ოქმები;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (2024-2025 წლები),;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა (ნახაზი);
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლის დამტკიცებული საშტატო ნუსხა (15.02.2024 N 164442)
- სკოლის მართვის პოლიტიკა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №169 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ხარისხის მართვის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფის დებულება;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები და ერთი ეგზემპლარი გადაცემული აქვს დასაქმებულს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. სკოლა ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს შრომის შინაგანაწესში შეტანილი ცვლილება მისი შეტანიდან 14 კალენდარული დღის ვადაში. შინაგანაწესში გათვალისწინებულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები, მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობები. ასევე, განსაზღვრულია სკოლის მანდატურის მიერ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ხელმძღვანელობს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტით, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლა თავის საქმიანობის ფარგლებში ითვალისწინებს „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანების, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N241 დადგენილებისა და სხვა სამართლებრივი აქტების რეგულაციებს. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. პოლიტიკის დოკუმეტში წარმოდგენილია სკოლის მართვის ამოცანები და პრინციპები, მართვის რეგულაციები, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, კადრების მოზიდვა, შერჩევის რეგულაციები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევის საკონკურსო პირობები, თანამშრომელთა ადაპტაციის რეგულაციები, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, პროფესიული განვითარება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის რეგულაციები და სხვა.

სკოლის ერთერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პრიორიტეტია ადამიანური რესურსის განვითარება. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ამოცნები: პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება, აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა, ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება. ბოლო ამოცანის ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, როგორიცაა:

- თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა
- წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება
- თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება/ ინფორმაციის მიწოდება
- მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა
- გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება

ამის გარდა სამოქმედო გეგმაში კიდევ ერთი პრიორიტეტია სკოლის ორგანიზაციული განვთარებაც. საბოლოოდ, ამ ორი მიმართულების ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და ინდიკატორები/მტკიცებულებები სრულ შესაბამისობაშია სკოლის ადამიანური მართვის პოლიტიკის დიკუმენტთან და რეგულაციებთან.

სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება საავადმყოფო ბიულეტენზე ყოფნისას, დეკრეტული შვებულების შემთხვევაში ჩასანაცვლებელი კადრების არჩევა, რითაც სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლაში შექმნილია „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“, რომელიც

დირექციასთან ერთად ინაწილებს პასუხისმგებლობას გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების ხარისხი, განავითაროს სკოლის თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის შინაგანაწესი არაგულირებს დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოს სკოლამ თანამშრომლის ფუნქციების სხვაზე დელეგირება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესების არ შეფერხდეს.
სკოლას აქვს მოქმედი ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ მოცემულია კადრების მოზიდვისა და შერჩევის რეგულაციები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. გათვალისწინებულია მასწავლებლის, მასწავლებლობის მაძიებლის, სპეციალურ მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის, სხვა თანამშრომლების მიღების რეგულაციები. ამის გარდა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია “სსიპ - ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურები”.
სკოლა პერსონალის შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ და სკოლის კონკურსის გამოცხადების წესის შესაბამისად. სკოლა ვალდებულია შიდა ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში, ინფორმაცია განათავსოს სკოლის განცხადებების ადგილას, ხოლო გარე ვაკანსიის გამოცხადების შემთხვევაში ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე: www.pedagogi.ge, www.teacherjobs.ge, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. ამასთანავე, ვაკანსიები ცხადდება jobs.ge-ზე, ხოლო ექიმის/ექთნის შემთხვევაში შესაძლებელია ვაკანსიის hr.gov.ge-ზე გამოქვეყნება. კანდიდატების დოკუმენტაციის გადარჩევის შემდეგ ტარდება გასაუბრება, რომლის შედეგებიც ეცნობება აპლიკანტებს. შერჩეულ კანდიდატებთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.
სკოლის კონტიგენტი მზარდია, შესაბამისად ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში სკოლას კონკურსის შედეგად შეემატა ბევრი ახალი მასწავლებელი და თანამშრომელი კონკურსის შესაბამისი რეგულეციების სრული დაცვით, გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების საფუძველზე. რაც შეეხება არაპედაგოგი თანამშრომლების შერჩევას, ის სრულდება ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე.
“სსიპ - ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების” მე-5 მუხლით განსაზღვრულია კონკურსანტის მხრიდან კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია. კანდიდატმა, რომელიც კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილია თანამდებობის დასაკავებლად, ხელშეკრულების გაფორმებამდე (გამონაკლის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ

10 კალენდარულ დღეში) სკოლის კანცელარიას უნდა წარუდგინოს დადგენილი დიკუმენტაცია, მათ შორის: ცნობა ნასამართლეობის შესახებ, საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრული ცნობა ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ," საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა "უფლების ჩამორთმევის შესახებ".
ექსპერტთა ვიზიტის დროს რამოდენიმე მასწავლებლის პირად საქმეში არ იძებნებოდა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა:

- ✓ *ნასამართლეობის ცნობა;*
- ✓ *სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;*
- ✓ *უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.*

ვიზიტის შემდგომ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა ცნობები (ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები) თითოეული მასწავლებლის შესაბამისად, რითაც დასტურდება, რომ სკოლაში მასწავლებლები შერჩეულნი არიან სახელმწიფო კანონმდებლობისა და სკოლის მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. თანამშრომელთა პორტფოლიოების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თითოეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობას. სკოლას საშტატო ნუსხით ჰყავს დირექტორი, დირ. მოადგილე, ბუღალტერი, მტუკი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, 2 ენისა და მეტყველების სპეც, 9 სპეც. საგ. საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 3 სპეც. მასწავლებელი, ცეცხლფარეში, 3 დარაჯი, 5 დამლაგებელი, 1 მუშა და 64 მასწავლებელი.
67 მასწავლებლიდან 1 მენტორი, 15 წამყვანი, 51 უფროსი მასწავლებელი და 3 უფროსი სპეც. მასწავლებელია. თანამშრომელთა პირად საქმეებში ჩანს, რომ მათ გავლილი აქვთ სახვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების ტრენინგები და კურსები.
თანამშრომელთა კვალიფიკაციები განსაზღვრულია სკოლის მიერ თანამშრომელთა მიღებისას გამოცხადებულ კონკურსების პირობებში და სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მართვის პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობითი და დემოკრატიული კულტურის ფორმირებასა და განვითარებაზე. სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მნიშვნელოვანი მმართველობითი რგოლია სამეურვეო საბჭო, რომლის

შემადგენლობაშიც არიან 6 მასწავლებელი, 6 მშობელი და 1 საშ. საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშ. საფეხურის მოსწავლეებისაგან. სკოლაში ფინქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დირექტორი, მასწავლებლები, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწ. თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან.

მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და აქტივობები. მასწავლებლები თანამშრომლობენ არაფორმალური განათლების აქტივობებსა და საკლუბო მუშაობის ფარგლებშიც.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა/დეპარტამენტი. სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. სკოლის საგნობრივი კათედრების შექმნის მიზანია კოორდინირება გაუწიოს საგნის ან საგნების სწავლებას, იზრუნოს კეთედრის წევრი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ხელი შეუწყოს სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას. პროფესიული გამოცდილების გაზიარება, კვლევა, ერთობლივი დაგეგმვა სასწავლო პროცესის და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილება და.ა.შ.), უზრუნველყოს კათედრის წევრების და სხვა საგნობრივ კათედრების სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმირება; ახალი გამოწვევების და სიახლეების სასწავლო პროცესში დანერგვის მექანიზმების შემუშავებას. განახორციელოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი. ემსახუროს სკოლის მისიისა და კათედრის დებულების განხორციელებას. ***რჩევა: სასურველია სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული კათედრის ფუნქციები თანხვედრაში მოვიდეს სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიასთან და დაემატოს კათედრის როლის/ფუნქციების დეტალური აღწერა კურიკულუმის განვითარებასთან მიმართებაში.***

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის შინაგანაწესის მუხლი 10-ით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირულის, ან/და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის, სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:
   - მადლობის გამოცხადება;
   - სიგელით დაჯილდოება;

- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ წლიური შედეგების შეჯამებისას პედ. საბჭოზე მოხდება მადლობის გადახდა შესაბამისი ბრძანებითა და სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, ორგანიზაციული კლიმატის კვლევა - სკოლაში დამკვიდრებული კულტურის მუდმივი გაჯანსაღების მიზნით, ყველა იმ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს დასაქმებულთა მოტივაციაზე, ქცევასა და მათი სამუშაოს შესრულების ხარისხზე, განხორციელდება ორგანიზაციული კლიმატის კვლევა. კვლევა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც შიდა უწყებრივი მექანიზმებით, ასევე, გარედან მოწვეული სპეციალისტების მიერ. კვლევის პროცესის წარმართვისას მაქსიმალური ობიექტურობის მისაღწევად დაცული იქნება მონაწილეთა ანონიმურობა. ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შედეგების მიხედვით მოხდება მართვის მექანიზმების, სამუშაო გარემოსა და პირობების, სხვადასხვა პროცედურების გადახედვა. ადმინისტაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასკოლო კლიმატის კვლევისათვის იყენებენ მასწავლებელთა ინტერვიუირებასა და ფოკუსჯგუფებში შეხვედრებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-205 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, კათედრების ოქმები;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგია;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა პირადი საქმეები/პორტფოლიოები;
- ბრძანებები თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების რეგულაციები, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას. ამისათვის სკოლაში ხორციელდება:
   - პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;
   - გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა;
   - შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;
   - მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასება.

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.
შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება შემდეგი ფორმით:
✓ შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის (დირექტორი, დირ. მოადგილე) მიერ;
✓ თვითშეფასება;
✓ შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;
✓ კრიტიკული შემთხვევების შეფასება;
✓ გარკვეული სამუშაო ჯგუფის/ხარისხის ჯგუფის მიერ შეფასება;
✓ სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.
მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, რომლის უმნიშვნელოვანესი აქტივობაა მასწავლებელთა და თანამშრომელთა საჭიროებების დადგენა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები.
მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად შესაძლებელია დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის:
   - ✓ თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება;
   - ✓ სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება;
   - ✓ მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ.

მასწავლებელთა კათედრაზე საქმიანობაც ითვალისწინებს მათ საჭიროებების დადგენას და ამის გათვალისწინებით მათთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას. ახალი 2024-2025 სასწავლო წლიდან ხარისხის ჯგუფის უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმილია კათედრებზე განხორციელდეს მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შემუშავება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესი. ჩატარდა საჭიროებების გამოსავლენად კვლევა (form-ის საშუალებით), რომელიც გაანალიზდა, დაიგეგმა პრევენციული და ინტერვენციული

აქტივობები. მაგალითად, ამის შესაბამისად, მასწავლებელთა საჭიროებების გათვალისწინებით ჩატარდა ტრენინგები ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ისგ გეგმების წარმოებისა და კომპლექსური დავალებების ადაპტირების შესახებ. სკოლაში სისტემატიურად მიმდინარეობს გაკვეთილზე დაკვირვება და შეფასება, ურთიერთდასწრებები. მასწავლებელი ახდენს საკუთარი გაკვეთილის რეფლექსიას, რასაც მოჰყვება უკუკავშირი რჩევა-რეკომენდაციების სახით, სკოლა ჩართული იყო Ge-Pried-ის პროექტში, ეხლა კი აგრძელებს USAID დაწყებითი საბაზისო განათლების პროგრამაში მონაწილეობას, რომელშიც მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია პედაგოგთა როგორც გარე, ისე სკოლის შიდა შეფასებას. სკოლაში შექმნილია სასწავლო ჯგუფებო დაწყებით საფეხურზე კითხვისა და მათემატიკის უნარების გაძლიერების მიმართულებით. გათვალისწინებულია ქოუჩინგის კომპონენტიც.

მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული პროფესიული განვითარების საშუალებებსაც. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხსიმგებელია სკოლის თანამშრომლების ინფორმირებაზე, უმოკლეს ვადებში უზიარებს ინფორმაციას მასწავლებლებსა და თანამშრომლებს სხვადასხვა გარე საგანმანათლებლო ორგანიზაციების, მპგეს-ის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებზე, სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებსა და დისტანციურ ჩართვებზე, დახმარებას უწევს რეგისტრაციაში. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომლებს აქვთ პროფესიული განვითარების მაღალი მოტივაცია და აქტიურად ერთვებიან შემოთავაზებულ აქტივობებში. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია სხვადასხვა სერტიფიკატები, სიგელები ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სკოლის ძლიერი მხარეა კომპეტენტური მასწავლებლების არსებობა სკოლაში, რომლებსაც აქვთ ტრენერისა და ქოუჩინგის გამოცდილებები. აღნიშნული მასწავლებლების მხარდაჭერით სკოლაში ორგანიზდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სკოლის შიდა რესურსებით. ამის გარდა მასწავლებლები და სკოლის პერსონალი აქტიურად არიან ჩართულები სოციალური ქსელებით შემოთავაზებულ სხვადასხვა სახის ონლაინტრენინგებითა და ვაბინარებით სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

სკოლა ასევე უწყობს ხელს მასწავლებლების გარდა პროფესიულ განვითარებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლის ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი. ბუღალტერი სკოლის დირექტორთან ერთად დაესწრო ტრენინგებს სკოლის საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გათვალისწინებულია თანამშრომელთა ადაპტაციის აქტივობები და ამის შესაბამისად თანამშრომელთა ვალდებულებები. სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით მიმართავს სხვადასხვა ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ:
    - ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება;
    - ახალი თანამშრომლისათვის მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება;
    - თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ;
    - თანამშრომლისათვის სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა;
    - სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა;
    - თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში, საჭიროების შემთხვევაში Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში პროფილების შექმნა.

    ახალი მასწავლებლის სკოლასთან ინტეგრირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეებს, დირექტორის მოადგილეს, საინფორმაციო მენეჯერს.
    სკოლაში ბოლო პერიოდში ბევრი ახალი მასწავლებელი/თანამშრომელი შემოემატა, რომლებიც ინტერვიუირების დროს აღნიშნავდნენ, რომ მათთვის სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც არიან სრულად რეალიზებულნი. ისინი მხარდაჭერას იღებენ სკოლის ადმინისტრაციისგან და კოლეგებისგან.
    ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ამ მიმართულებითაც განსაზღვრავს გარკვეულ პროცედურებს. ინიციატივები იკვეთება ძირითადად პერსონალის პროფესიული საჭიროებების მიმართულებით, ან ზეპირსიტყვიერად მასწავლებლებისა და პერსონალის მხრიდან.
    სკოლის თანამედროვედ მოწყობილი ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. სკოლა აღჭურვილია საუკეთესო ციფრული მოწყობილობებით, პროექტორებით, 3D პრინტერით, ლაზერული მჭრელით, ჭკვიანი დაფით, პრინტერებით, კომპიუტერებით, ლეპტოპებით, აუდიოტექნიკით, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო რესურსებით, რის განახლებასაც ყოველთვის მხარს უჭერს სკოლის ადმინისტრაცია მათი ინიციატივების შესაბამისად.

    ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგია;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა პირადი საქმეები/პორტფოლიოები;
- კათედრების დებულება;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100063671378198

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დოკუმენტის სახით. ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია:
   - სკოლის, როგორც ორგანიზაციის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა;
   - სკოლის, როგორც ხარისხიანი ზოგადი განათლების მიმწოდებელი ორგანიზაციის სისტემური და მუდმივი განვითარება და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და გაძლიერება;
   - ორიენტირება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე, მომხმარებელზე;
   - ორიენტირება დაგეგმვისა და მართვის სისტემის ეფექტიანობაზე
   - ორიენტირება განვითარებად ინფრასტრუქტურაზე;
   - ორიენტირება უსაფრთხო და მამოტივირებელ გარემოზე.

   სკოლაში მიმდინარე პროცესები, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგსა და შეფასებას:

   - სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება და სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის მართვა;
   - სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) გადახედვა გადასინჯვა განახლება; შემაჯამებელი დავალებების ტიპების გადახედვა /გადასინჯვა;
   - შემაჯამებელი დავალებების მართვა;
   - შეფასების სისტემის, შეფასების რუბრიკების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) განვითარება;
   - მოსწავლეთა სასწავლო შედეგების ანალიზი დინამიკაში;
   - კათედრებისა/დეპარტამენტებისა და კათედრებს/დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობაზე თვალისმიდევნება;
   - მშობლებთნ ურთიერთობის პროცესების მართვა;
   - მატერიალური რესურსების ეფექტიანად და ეფექტურად მართვა;
   - ადამინური რესურსების ეფექტიანად და ეფექტურად მართვა;
   - სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ ეფექტური, სწორი კომუნიკაციის მართვა.

   სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშობის ზოგადი პრინციპია დემინგის მუდმივი გაუმჯობესების ციკლი (Plan-Do-Check-Act) „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე“. დაგეგმილია თითოეული ეტაპის შესაბამისი რეგულაციები და პროცედურები.

სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ცდილობს იკვლიოს პროცესები მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა გამოკითხვებით, გაკვეთილების შეფასების ანალიზით, განხორციელებული პროექტების შეჯამებით, სასწავლო წლის ბოლოს წარდენილი ანგარიშებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ძირითად მმართველობით მიმართულებებში წარმოდგენილია სკოლის მეთოდოლოგიები, სადაც დეტალურად არის აღწერილი დემინგის ციკლის თითოეული ეტაპის შესაბამისი პროცედურები, კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, ჩართული მხარეები. სკოლის მმართველობითი პროცესებიდან:
   - სტრატეგიული დაგეგმვა და წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდება - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად;
   - კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად;
   - ადამიანური რესურსების მართვა, კარიერული განვითარება, ფინანსური რესურსების მართვა და სხვა დამხმარე პროცესები იმართება ასევე განსაზღვრული მექანიზმით.
   - შეფასების პროცესების, მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტების მუდმივი გაუმჯობესება - შეფასების ვერიფიკაციის შესაბამისად.

   სკოლის მართვის სხვა ძირითადი და დამხმარე პროცესები რეგულირდება შესაბამისი დებულებებითა და მექანიზმებით, რომლებიც ითვალისწინებს ხარისხის განვითარების ციკლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ეფექტური და გამოცდილი სისტემა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია, როგორც სხვადასხვა სახის დისციპლინური გადაცდომები, ასევე ამ გადაცდომების შესაბამისი სახდელები. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს საშუალება აქვს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაასაჩივროს სკოლის დირექტორთან, სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, დისციპლინურ კომიტეტთან. სასკოლო საზოგადოების ყველა მხარეს შეუძლია ისარგებლოს გასაჩივრების და აპელაციის უფლებით. სკოლის დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია თანაბარი მონაწილების უფლების მქონე მოსწავლეებით, მასწავლებლებითა და მშობლებით. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს სამეურვეო საბჭოში. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი გატარდება რეგისტრაციაში და მათზე რეაგირება განხორციელდება“ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ II თავის მე-12 მუხლით დადგენილი წესით. სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი “საჩივრის/განცხადების განხილვის დოკუმენტი” განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს.

დოკუმენტის მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებისა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. სკოლაში მოქმედი საჩივრების პროცედურები საჯარო და ფართოდ ხელმისაწვდომია. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ მიეწოდება მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს სკოლაში სწავლის ან მუშაობის დაწყებისას, ასევე ქვეყნდება სკოლის ვებ-გვერდზე და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი”, რაც განსაზღვრავს სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პირობებს. დოკუმენტი შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის” და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მისი მიზანია სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.
სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებსა და კლასის საათზე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) აღნიშნული ინფორმაცია ასევე ეგზავნებათ კლასის დამრიგებლების მიერ ელექტრონულ ფოსტაზე/ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. შინაგანაწესით განისაზღვრება სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხსიმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები.
თითოეული მოსწავლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე

პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზები.
ამის გარდა მოსწავლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელის უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან დასადებ ხელშეკრულებებში და თანამშრომლების უფლება-მოვალეობები დადებულ ხელშეკრულებებში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- სკოლის ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მშობელთან/კანონერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის ცენტრალურ ფოიეში, განცხადებების დაფაზე და ასევე მის გვერდზე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, დისც. კომიტეტის სხდომაზე მოწვევა). სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://onlineschool.emis.ge/, სკოლის ელ-ფოსტა, Microsoft Teams პლატფორმა, სადაც შესაძლებელია დისტანციური სინქრონული ჩართვა და კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სკოლის სოციალური გვერდით, პორტალით, ასევე პედსაბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე სკოლას აქვს ელექტრონული გამოკითხვის პრაქტიკა მოსწავლეებთან და მშობლებთან.
   სოციალური ქსელის ფარგლებში თითოეული კლასის დონეზე დამრიგებლებს შექმნილი აქვთ შიდა ჯგუფები, სადაც გაერთიანებული არიან მოსწავლეები (საბაზო-საშუალო საფეხურის) და მათი მშობლები, მასწავლებლები. აღნიშნული ცალკეული ჯგუფები ხელს უწყობენ ინფორმაციის მიწოდებას სწრაფად და ეფექტიანად.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც ირჩევა სამ წელწადში ერთხელ. დებულება „საქართველოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ“ მტკიცდება განათლებისა მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ასევე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. ადმინისტრაციასთან ინტერვიუირებით ირკვევა, რომ სკოლა მშობლებსაც შესთავაზებს თანამშრომლობის მრავალფეროვან აქტივობებს, მაქსიმალურად გაითვალისწინებს მათ ინიციატივებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეები, როდესაც მშობელს ეძლევა შესაძლებლობა გაეცნოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ამომწურავ ინფორმაციას (აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და სხვა). გარდა კონკრეტულად განსაზღვრული დღეებისა, მშობელი შეზღუდული არ არის ნებისმიერ დროს შეხვდეს დირექციას, მასწავლებელს, კლასის დამრიგებელს მათთან შეთანხმებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია მშობელთა გამოკითხვის ფორმა და შესაბამისი მონაცემები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა მოსწავლეთა თვითმმართველობის სახით.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- სკოლის სოციალური გვერდი:
- პედ. საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის პორტალი;
- სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100063671378198

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ეზო შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის სრული ტერიტორია, სკოლა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით, სისტემით, ცეცხლმაქრებით და სახანძრო ინვენტარით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში განთავსებული იყო შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმები. სკოლას ემსახურება 3 მანდატური. სკოლის ტერიტორია სრულად კონტროლდება მუდმივ რეჟიმში 23 შიდა და 16 გარე ვიდეოკამერის დახმარებით. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და გაწერილია მოვალეობები.
   შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, სკოლის შენობის სრული რეაბილიტაციის შემდგომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შპს „ბალავარის" დაკვეთით შპს „ჯეოელექტრო"-ს საგამოცდო ლაბორატორიამ განხორციელა სკოლაში არსებული ელექტორგაყვანილობების შემოწმება, კერძოდ 27.10.2022- ში შემოწმდა დამიწების წრედებისა და განშტოებების გამოცდა, ჩამრთველებისა და როზეტების გამართულობა. ამის შემდგომ სკოლის მხრიდან არ განხორციელებულა მიმართვა კონკრეტულ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა შ.პ.ს "სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის" მიერ განხორციელებული 2019 წლის მოკვლევა სკოლის ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაზე, რის საფუძველზეც განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. დადასტურდა, რომ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ გამოკვლეული სკოლის ნაგებობის შემადგენელი ელემენტები საჭიროებდა რეკომენდირებულ სამშენებლო სამუშაოებს და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას. რეაბილიტაცია დასრულდა 2022 წელს. სკოლამ რეაბილიტაციის შემდგომ მიიღო "შპს ბალავარის" მიერ სკოლაში განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დეტალური ანგარიში, სადაც ზედმიწევნით არის აღწერილი თითოეული რეაბილიტირებული ზონის ზომები, პარამეტრები, ფოტომასალა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასკვნები.
ვიზიტის დროს სკოლის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი უფლებამოსილ ორგანოსთან მიწერილობა, ან დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, არ იყო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური, ან/და მიწერილობა სკოლის მხრიდან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების შესახებ.

ვიზიტის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით:

ა) შპს „ჯეოელექტრო"-ს საგამოცდო ლაბორატორიის დასკვნა სრული დანართებით. დასკვნაში აღწერილია, რომ ელექტროენერგიის მიწოდების მაჩვენებლები თანაბრად ნაწილდება და სტანდარტების შესაბამისია, სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა მოქმედებაშია, კვამლის დეტექტორები მოქმედებაშია, მოდინებითი ვენტილაციის გამწოვი სისტემების რეკუპერატორები დატესტილია. ასევე განხორციელდა წყალმომარაგების სახანძრო ჰიდრავლიკური ტესტირება. დასკვნაში აღნიშნულია, რომ არსებული სისტემები და მაჩვენებლები მისაღებია და მზადაა ჩაბარებისთვის. ასევე განხორციელდა გათბობის სისტემების გამართულობის ტესტირება და შეფასდა დადებითად. სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ყველა მოწყობილობა და შემადგენელი კომპონენტი დადებითად შეფასდა.
ბ)"შპს ბალავარის" მიერ სკოლაში განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დეტალური ანგარიში, რაც წარმოადგენს ვრცელ დოკუმენტს,ზედმიწევნით არის აღწერილი თითოეული რეაბილიტირებული ზონის ზომები, პარამეტრები, ფოტომასალა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასკვნები. ასევე წარმოადგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია "ეპტისა სერვისიოს დე ინჟენიერია ეს. ელ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს "ბალავარს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება, რომ სკოლაში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად.
წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის სრულფასოვანი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია სამედიცინო მოწყობილობებითა და პრეპარატებით. სკოლას ემსახურება ერთი ექიმი.
   ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა ექიმთან გასაუბრება. ექიმის მიერ ვიზიტორთა აღრიცხვა, სამედიცინო მედიკამენტების მიღება-ჩამოწერის აღრიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.
   სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
   რჩევა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებისა N41/ნ/01-23/ნ და სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია კიდევ ერთი ექიმის შტატის დამატება და შესაბამისი პერსონალის შერჩევა.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა სასკოლო უსაფრთხოებაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით აწვდის ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის, უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის, სამსახურებრივი ნომრების და აღნიშნული პირების/უწყებების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.
   სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვაში ჩართულია სამი მანდატური. სკოლის შესასვლელში, სასწავლო პროცესის დროს, მუდმივად არის სკოლის თანამშრომელი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ვიზიტორებს და აწარმოებს მათ აღრიცხვას. დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებლები. მუდმივად ჩართულია შიდა და გარე სამეთვალყურეო კამერები.
   სკოლაში დაგეგმილია მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის

ფსიქოლოგიაზე და ასე შემდეგ. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლის გარემო იყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის რეფერირებას, რის შემდეგაც ხდება შესაბამისი ღონისძიებების გატარება. სკოლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს ინკლუზიური გარემოს ფორმირება. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტი და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები/სად. საათი, ტოლერანტობისა და ბულინგის საკითხების გათვალისწინებით, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა ასახულია “მე და საზოგადოების“, „სამოქალაქო განათლების“, „ბუნებისმეტყველების“ და სხვა საგნობრივი პროგრამების კურუკულემებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში სრულად იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურება 5 დამლაგებელი. სველ წერტილებში არის თხევადი საპონი, საპირფარეშოს ქაღალდი და ხელსახოცი. ყველა სართულსა და დერეფნებში არის სანაგვე ურნები, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგინის დაცვას. სველი წესით იწმინდება დერეფნები. სკოლას აქვს წყლის დამატებითი რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება წყლის შეწყვეტისას, ან სახანძრო შემთხვევის დროს.

სკოლაში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი. სკოლას სანიტარული-ჰიგიენური სისტემის გამართულობის მიზნით აქვს ხელშეკრულება დადებული შესაბამისის პროფილის სამსახურთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო

განხილვა/გავრცელება, მოსწავლის შესახებ ინფორმაციის (მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისას წინასწარ უნდა იქნეს მოპოვებული მოსწავლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, დირ. მოადგილეს, საინფორმაციო მენეჯერს, ექიმს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს.

განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს. სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება მიზნის შესაბამისად და ინახება, იმ ვადით, რომ მიღწეული იყოს მისი დამუშავების მიზანი. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მიღწევების, სერტიფიკატების, ფოტოების, ნამუშევრების და ა.შ) გასაჯაროებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) სკოლა წინასწარ უთანხმდება მოსწავლეს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს. დაცულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები.

რჩევა:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც განახორციელებს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესაბამისი პროცესების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; სკოლაში არის უწყვეტი ინტერნეტი. მასწავლებლები და მოსწავლეები სარგებლობენ teachers.gov.ge-ს, ხოლო მოსწავლეები student.gov.ge-ს ინდივიდუალური მომხმარებლითა და პაროლით. სკოლის ტერიტორიაზე გარკვეულ საიტებზე წვდომა არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის. მონაცემების დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა, რომელიც ლიცენზირებულია. სკოლა თანამშრომლოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც სკოლას ემსახურება ცენტრის IT სპეციალისტი. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას შექმნილი პრობლემების დროს მყისიერად ხდება დაკავშირება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ცხელ ხაზთან, რომელიც უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარებას მაქსიმალურად მოკლე დროში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ყოველწლიურად 10 დეკემბრისთვის სკოლის დირექტორი აკეთებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის უსაფრთხოების შესახებ. ანგარიშის ანალიზის შედეგად იგეგმება მომავალი საქმიანობები სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რჩევა: სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც განახორციელებს სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რასაც სკოლა გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- შპს „ჯეოელექტრო“ – ს საგამოცდო ლაბორატორიის დასკვნა 27.10.2022;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შ.პ.ს “სამეცნიერო, საპროექტო-ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის” მიერ განხორციელებული 2019 წლის მოკვლევა;
- სკოლის შენობის რეაბილიტაციის ანგარიში (დოკუმენტი);
- სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი - 01/08/2021
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- პედაგოგების მორიგეობის განრიგი;
- ექიმის ხელშეკრულება, კონკურსით შერჩევის ამსახველი დოკუმენტები;
- დირექტორის ყოველწლიური ანგარიში და სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ხელშეკრულებები დამლაგებლებთან, დარაჯებთან;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

- "ეპტისა სერვისიოს დე ინხენიერია ეს. ელ", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს "ბალავარს" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარება;
- ოქმი 01.12.2023 დეფექტებზე პასუხისმგებლობის ვადის გასვლის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით ორ ცვლად;

სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლა (ს/კ N 01.10.10.024.001) მდებარეობს თბილისში, დიღმის მასივში, კვარტალი II, (ნაკვ. 24/001), 16085.00 კვ.მ მიწის ფართობზე. სკოლას აქვს:

- N1 ძირითადი შენობა ფართით 5013.1 (მ/შ სარდაფი 983.2 კვ.მ., I სართული -1038.51 კვ.მ., II სართული -1031.77 კვ.მ.,(აქედან გადასასვლელი N2 შენობაში -53.07 კვ.მ.), III სართული -978.74 კვ.მ. და IV სართული -980.88 კვ.მ.);
- N2 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 2498.76კვ.მ. (მ/შ სარდაფი -966.79 კვ.მ. I სართული-842.57 კვ.მ., და II სართული - 689.4 კვ.მ).
- N3 - გათბობის საქვაბე- 12.96 კვ.მ.
- N4 - ღია მინი სპორტული მოედანი.

სკოლის ძირითადი შენობის:

პირველ სართულზე განლაგებულია - ცენტრალური შესასვლელი დიდი დერეფნით, კიბეები და პანდუსები ორი მხრიდან, 8 დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახი, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, დარაჯის ოთახი, სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და პერსონალისთვის, მანდატურების ოთახი შესაბამისი აპარატურით (ჩართულია და გამართულად მუშაობს 39 ვიდეოკამერა);

მეორე სართულზე განლაგებულია - 10 საკლასო ოთახი (ძირითადად დაწყებითი საფეხურის), STEM ლაბორატორია, კანცელარია და დირექტორის კაბინეტი, დირექტორის მოადგილის კაბინეტი, სველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და პერსონალისთვის.

მესამე სართულზე განლაგებულია - 11 საკლასო ოთახი, ბიოლოგიის ლაბორატორია, სამასწავლებლო, ისტ ლაბორატორიასველი წერტილები გოგონების, ვაჟებისა და პერსონალისთვის.

მეოთხე სართულზე განლაგებულია: 11 საკლასო ოთახი, ქიმია-ფიზიკის ლაბორატორია, წერტილები გოგონების, ვაჟებისა და პერსონალისთვის.

სკოლას ჯამში აქვს ყველა საჭირო რესურსითა და ავეჯით აღჭურვილი 40 საკლასო ოთახი. სკოლას აქვს 1131 ინდივიდუალური მერხი. მერხები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.

სკოლის მეორე ნაგებობა ორსართულიანია. აქ განლაგებულია ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, პატარა და დიდი შიდა სპორტული დარბაზები (გასახდელებით), კვების ბლოკი, სკოლამდელი აღზრდის ოთახი, სველი წერტილები.

სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ჯამში 6 სველი წერტილი ვაჟებისთვის 6 (თითოეულში 3+1 ადაპტირებული); 6 სველი წერტილი გოგონებისთვის: თითოეულში 3+1 ადაპტირებული სველი წერტილით)
10 სველი წერილი პერსონალისთვის და 10 ადაპტირებული სვ. წერტილი.

სკოლის ეზოში გაკეთებულია ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით.

სკოლას აქვს მოწესრიგებული ეზო და სარეკრეაციო ზონები. სკოლის უკანა ეზოში არსებული ფართი საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სკოლითვის აშენდეს კიდევ ერთი სასწავლო კორპუსი მოსწავლეთა მზარდი დინამიკიდან გამომდინარე. სკოლის ეზო სრულიად შემოსაზღვრულია ღობით.

სკოლის სპორტული დარბაზი და ინვენტარი საშუალებას იძლევა სკოლამ განახორციელოს მრავალფეროვანი სპორტული აქტივობები. სპორტული დარბაზი აღჭურვილია საჭირო რესურსებით.

სკოლის დერეფნები, კიბის უჯრედები მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, სკოლის შენობის შიდა სივრცეში განთავსებულია სანავიგაციო ნიშნულები. სკოლის ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია სრულიად და მოწესრიგებულია.

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით 2100 მოსწავლეზე ორცვლიანი სწავლის რეჟიმში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში მოქმედი წესებით და დებულებებით, ასევე პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გსაუბრებით, სკოლის ვებგვერდით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, რიგ შემთხვევებში, მშობლებისთვისაც. დირექციის კაბინეტსა და სამასწავლებლოში განთავსებულია საჭირო ტექნიკა: კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერი/სკანერი. ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია დაფა, სათავსო-კარადები, მასწავლებლის მაგიდა სკამით და სხვა... 8 საკლასო ოთახში დამონაჟებულია პროექტორი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და ყველა საჭირო ტექნიკით აღჭურვილი IT ლაბორატორია, STEM ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შიდა და გარე სპორტული მოედნები, სააქტო დარბაზი გამართული აღჭურვილობით, ფორტეპიანო მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია და საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური, კლუბური და საწრეო მუშაობა განხორციელდეს სკოლაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რაც ნებისმიერი დაინტერესებული მოსწავლე-მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 6489 წიგნი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის სახით. 432 მეთოდური ლიტერატურა, 2247 სახელმღვანელო. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რაც ადგენს ბიბლიოთეკაში არსებულ წესებსა და პროცედურებს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში შექმნილია

კომპორტული და მამოტივირებელი გარემო. მოწყობილია საპრეზენტაციო ზონა შეხვედრებისთვის. მოწესრიგებული და დახარისხებულია ლიტერატურა, განლაგებულია თვალსაჩინოდ თაროებზე წინების აღრიცხვის შესაბამისად, ანბანურად. თითოეულ მკითხველზე ივსება მკითხველის ანკეტა, რომელშიც რეგისტრირდება დოკუმენტის გაცემის და ჩაბარების თარიღი. ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისას, მკითხველი ინფორმირებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის სარგებლობის წესების შესახებ. ბიბლიოთეკაში დაცულ თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი, ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი პირველ და მე-17 გვერდზე. ბიბლიოთეკას აქვს ელექტროკატალოგი, ელექტრონული რესურსების ბაზა და ჟურნალი. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს დებულების შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სრულიად რეაბილიტირდა 2022 წელს. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისთვის სრულფასოვან ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს პანდუსები, ლიფტი, რომელიც მოძრაობს ოთხივე სართულზე, რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სკოლის დერეფნებსა და ეზოში გათვალისწინებულია სენსორული სავალი ბილიკები შშმ მოსწავლეებისათვის. ყველა საკლასო ოთახი დანომრილია, გამოკრულია გაკვეთილების განრიგი. საკლასო ოთახებში წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსები, სიტყვების კედელი, საგანმანათლებლო-მეთოდური პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები. მითითებულია ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის, რესურსოთახის აბრები, ასევე საპირფარეშოების ნიშნულები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სააქტო დარბაზი (სცენით, აუდიოსისტემით, მუსიკალური ინტრუმენტებით), ღია სპორტული მოედანი, დიდი და მცირე შიდა სპორტული დარბაზები, ინოვაციური რესურსებით აღჭურვილი, სრულიად მოწყობილი STEM ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის დერეფნები აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა და მშობელთა ნამუშევრების გამოფენებისათვის.
სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზი;
- ინვენტარისა და ტექნიკის მიღება-ჩაბარებების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა,
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციის, სამასწავლებლოს სივრცეებში განთავსებულია პორტაბელური კომპიუტერები და ლეფთოფები, პრინტერები, სკანერები. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, სადაც აღწერილი აქვს სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

სკოლას გააჩნია 16 პერსონალური კომპიუტერი, 86 ლეფთოფი, 5 პრინტერი, 10 პროექტორი, 1 ჭკვიანი დაფა. სასწავლო პროცესში ყოველ საკლასო ოთახს მოემსახურება ერთი ლეფთოფი. ამის გარდა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებსა და კლასის დამრიგებლებს გადაეცემათ ბუკები. ციფრული ტექნიკა და ინფრასტრუქტურა სრულიად საკმარია სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის. სკოლის სივრცე დაფარულია Wifi ქსელით და შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა. ინტერნეტით სარგებლობის დროს მოსწავლე დაცულია არასანდო პლატფორმებზე წვდომისაგან.
სიახლეები მუდმივად თავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი. ინტერვიუირებიდან დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს facebook-ის, Teams-ის პლატფორმას, ასევე ელექტრონულ ფოსტას მშობლებთან, მასწავლებლებსა და ადმინსტრაციას შორის სწრაფი კომუნიკაციისათვის. მშობელს შეუძლია მიმართოს სკოლას ოფიციალურ მეილზე, ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. სკოლა უპასუხებს ყველა შეტყობინებას 9.00-18.00 სამუშაო საათების განმავლობაში, რაზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლის პერსონლისთვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილ საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 10 მუშა მდგომარეობაში მყოფი პერსონალური კომპიუტერი და 17 ლეფთოფი. შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის გრაფიკი. საგაკვეთილო პროცესის შემდეგ 17:00 საათამდე აღნიშნული სივრცით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობით.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია, ტექნოლოგიების ლაბორატორია მუშაობს ტესტირებების, ოლიმპიადების, ექსტერნების გამოცდებთან დაკავშირებით წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. საზიარო სივრცეები მოწყობილია სკოლის STEM ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში, სადაც განთავსებულია 10 ლეპტოპი.
მასწავლებლეთა საზიარო სამუშაო სივრცეც კომპიუტერული ლაბორატორიაა, თუმცა ლეფთოფებით მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამასწავლებლოშიც. ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი. ადმინისტრაცია სარგებლობს საკაბელო ინტერნეტითაც.
სკოლის მანდატურთა ოთახში განთავსებულია მუდმივად ჩართული კომპიუტერი, სადაც თავს იყრის შიდა და გარე ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარებები ციფრული ტექნიკის შესახებ;
- სკოლის ინფრატრუქტურის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N169 საჯარო სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემის მუშაობასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შემუშავებული ბრძანებისა და რეკომენდაციების და საქმისწარმოების წესის შესაბამისად; სკოლაში დანერგილია და პრაქტიკაში მუშაობს საქმისწარმოების ღია, მოქნილი და მოსწავლეზე ორიენტირებული სისტემა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას:
    - შემოსული დოკუმენტაცია;
    - გასული დოკუმენტაცია;
    - შიდა დოკუმენტაცია.

   კორესპონდენცია შემოდის დაინტერესებული პირის მიერ სკოლაში ჩაბარებით, ფოსტის ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით. კორესპონდენცია მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსით“ განსაზღვრული უქმე დღეებისა, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე.
   დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები - ბრძანებები იყოფა ორ ტიპად: საკადრო ბრძანებები და საერთო, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები. ბრძანებები, გამოცემის,

თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრის რიგითობის შესაბამისად, თავსდება ბრძანებებისთვის განკუთვნილ საქაღალდეში.

სკოლაში დადგენილია ერთიანი სახის ბლანკი - სატიტულო ფურცელი, რომლის გამოყენებითაც ხდება ბრძანებების, წერილების, ცნობების გაფორმება. შეტყობინება ელექტრონული ფოსტით ფორმდება სუფთა ფურცელზე, ბლანკის გამოყენების გარეშე.

დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით, გარდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა, სკოლაში არსებობს:

- საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;

სკოლაში შემოსული თუ სკოლიდან გასული ყველა სახის დოკუმენტაცია ტარდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში. შემოსულ კორესპონდენციას დაესმება ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაში რეგისტრაციის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ციფრებით სარეგისტრაციო ნომერი და განსახილველად გადაეცემა სკოლის დირექტორს ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს კონრესპონდენციის შინაარსის გათვალისწინებით;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow - ს საშუალებით. აღირიცხება შემოსული, გასული კორესპოდენციები და დირექტორის გამოცემული ბრძანებები. ამის გარდა სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა tbilisi169@mes.gov.ge. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც დაორგანიზებულია სკოლის, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და თანამშრომელთა შესახებ ყველა საჭირო მონაცემი.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. ამ სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება, ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება, სახელმძღვანელოების შერჩევა, კლასების დაორგანიზება, საგაკვეთილო ცხრილის შექმნა, მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებაზე წარდგენა, საშტატოს წარდგენა და სხვა.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კანონის შესაბამისად რეაგირებს შემოსულ წერილებზე და ახორციელებს უკუკავშირს. სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი პროტოკოლი - 10 დეკემბრის ანგარიშის სახით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- eflow და eschool ციფრული პლატფორმები;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიშები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;
- სკოლის კანცელარიის ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სკოლის პორტალითა და სოციალურ ქსელში არსებული პერსონალური გვერდით. კერძოდ, სკოლას facebook გვერდზე აქტიურად ასახავს ინფორმაციას მიმდინარე სიახლეებისა და აქტივობების შესახებ. სკოლა ოფიციალური ინფორმაციის მისაწოდებლად მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის იყენებს ფოსტას tbilisi169@mes.gov.ge, teams-ის პლატფორმას, facebook-ის დახურულ ჯგუფს მოსწავლეების, მშობლებისა მასწავლებლებისათვის. ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებაა ელექტრონული ჟურნალი. სკოლას აქვს პორტალი, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციისთვის, პორტალზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ (მისამართი, ფოსტა, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია...).
   სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის სოციალური გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გვერდის ადმინისტრირებას. სკოლა უმოკლეს ვადებში აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადების, პროცედურების შესახებ, ასევე ექსტერნატის გამოცდების, ოლიმპიადების, კონკურსების და სხვადასხვა აქტივობების შესახებ.
   სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აქვეყნებს სიახლეებს. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების განხილვა/გაზიარების მიზნით.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას იღებს საგანმანათლებლო საქმიანობების მარეგულირებელი უწყებებიდან და შესაბამისად ინფორმაცია სანდო და უტყუარია. განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია გადამოწმებული და დადასტურებულია იმ მასწავლებელთან, სკოლის თვითმმართველობასთან, ან სკოლის წარმომადგენელთან, რომელიც ახორციელებენ აღნიშნულს. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ გვერდს საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად. მაგალითად, სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გამოკითხვის ანკეტა და შესაბამისი უკუკავშირის გათვალისწინებით იგეგმება აქტივობები მშობელთა ჩართულობისთვის, მონაცემებს სკოლა გამოიყენებს საქმომედო გეგმების შესრულებისა და კურიკულუმების ხარისხის განვითარებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა აქვს ოფიციალური მოქმედი ვებ-გვერდი https://shorturl.at/2tYIw, სადაც ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ვებ-გვერდის შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამები, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, დირექტორის ფინანსური ანგარიში, სკოლის ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ციფრული სტრატეგია;
- ელექტრონული ჟურნალი: https://onlineschool.emis.ge/auth
- სკოლის გვერდი: https://shorturl.at/2tYIw
- სკოლის სოც. გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100063671378198
- სკოლის საინფორმაციო დაფა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით, ამასთანავე, აქვს ეკონომიკური შემოსავლები, რომლებიც მიემართება სკოლის განვითარებისკენ. ბიუჯეტის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. სკოლის ფინანსები უზრუნველყოფს ყველანაირ კომუნალურ ხარჯს: ელექტროენერგიის, გაზმომარაგების, წყლის მოწოდების, დასუფთავების, დაცვის და სხვა ხარჯებს. სკოლის სამოქმედო გეგმა შედგენილია სკოლის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია მისი განხორციელება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის ცვლილება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. აღნიშნული გეგმის შემუშავება ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა.
სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.
სკოლის ბუღალტერი თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფინანსისტთან, რის ფარგლებშიც ხდება წლიური ბალანსის წარდგენა, სკოლაში მიმდინარე ფინანსური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. სკოლა

გადავიდა საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაზე. სისტემა თავადვე აკეთებს მიმდინარე ოპერაციების მონიტორინგს და ხარვეზის შემთხვევაში სკოლა იღებს შესაბამის უკუკავშირს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024 წლის შესყიდვების გეგმა;
- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის ბიუჯეტი 2025;
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან;
- დირექტორის 10 დეკემბრის ფინანსური ანგარიში;
- მიღება - ჩაბარების აქტები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესით“. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:
   - სკოლას აქვს შინაგანაწესი;
   - აქვს მოსწავლისა და მშობლის უფლებების დაცვის წესი;
   - შემუშავებულია საჩივრის/განცხადების განხილვის მექანიზმები;
   - შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
   - სკოლას აქვს მოსწავლის მხარდაჭერის დებულება;
   - აქვს ასევე მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
   - სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო;
   - სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;
   - შექმნილია მრჩეველთა საბჭო;
   - თითოეულ კლასს ყავს დამრიგებელი;
   - სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც კონცეპტუალურ ნაწილში გაწერილია ინკლუზიური განათლების რეგულაციები.

   სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ კანონით“.
   სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომლიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება

ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

სკოლას გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი, სადაც მკაფიოდ არის მოცემული, რომ სკოლა ვალდებულია დაიცვას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და რომ დაუშვებელია მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება მშობლისგან ან მოსწავლისგან წინასწარ მოპოვებული თანხმობის გარეშე, რითიც მოსწავლის უფლებები დაცულია.

მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, ან თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზია არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვა, სკოლა მოქმედებს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

სკოლის სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის შეფასების, შინ სწავლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის რეგულაციები, მოსწავლე სარგებლობს ყველა პირობით, რაც დადგენილია კანონით - სირთულეების იდენტიფიცირების, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფის რეგულაციებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რაც დასტურდება სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული შინაგანაწესით. შინაგანაწესის მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია დამრიგებელი. ის სასწავლო წლის დასაწყისშივე კრებაზე აცნობს მას მშობლებს და მოსწავლეებს, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ გაცნობის ფაქტს ხელმოწერით. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, რაც აქტიურია და გამოქვეყნებულია სკოლაში მიდინარე აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, განცხადებები და სხვა. სკოლის პორტალზე გამოქვეყნებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წესი“, „მოსწავლისა და მშობლის უფლებების დაცვის წესი“, „საჩივრის განხილვის მექანიზმები“ და სკოლის შინაგანაწესი.

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით.

მოსწავლეთა თვითმმართველობა განიხილავს შინაგანაწესს, წარმოადგენს საკუთარ რეკომენდაციებსა და წინადადებებს. დამტკიცებულ შინაგანაწესს მოსწავლეთა თვითმმართველობა მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე აცნობენ მოსწავლეებს.

თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულების ნიმუში, სადაც გაწერილია მხარეთა უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები, ასევე მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულაციები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლისა და მშობლის უფლებების დაცვის წესი
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წესი;
- მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- საჩივრის განხილვის მექანიზმები;
- სკოლის პორტალი: https://shorturl.at/2tYIw

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა;
   შემოსული განცხადებები მოსწავლეთა მობილობაზე, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აისახება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFlow), ასევე eSchool საინფორმაციო სისტემაში.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, რომლებსაც საგნის წლიური ქულა გამოსდით „5“-ზე ნაკლები, ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ენიშნებათ მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება ხორციელდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ ფასიან წრეებს:
   - კალათბურთის წრე
   - ფეხბურთის წრე
   - ჭადრაკის წრე
   - რობოტიკის წრე
   - სამეჯლისო ცეკვები
   - კარატის წრე
   - მხატვრული ტანვარჯიში
   - გახანგრძლივებული სწავლება - გულისხმობს I-IV კლასებში.

   სკოლას აქვს წარმოდგენილი გახანგრძლივებული სწავლების პროგრამა.
   სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურილი, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს:
   - ეკო კლუბი
   - სამოქალაქო განათლების კლუბი
   - კინოკლუბი
   - STEM კლუბი
   - კითხვის კლუბი
   - მოგზაურთა კლუბი

     განსაზღვრულია კლუბის წესდებები და დებულებები, წარმოდგენილია სამოქმედო გეგმები.

   სკოლა სთავაზობს მე-4 კლასის მოსწავლეებს სასწავლო წლის ბოლოს სთავაზობს მეორე უცხოურ ენებს ასარჩევად (გერმანული, იტალიური, რუსული), ამასთანავე, საშუალო საფეხურის მოსწავლეებს არჩევით საგნად- მესამე უცხოურ ენას (იტალიური, გერმანული, თურქული), რის შესახებაც ინფორმაცია იდება სკოლის სოციალურ ქსელში და დამრიგებელი მეოთხე და მეცხრე კლასის ბოლო მშობელთა კრებაზე აცნობს მშობლებს ამ ინფორმაციას. მიმდინარე ეტაპზე სკოლაში ისწავლება ინგლისური, გერმანული და რუსული ენები.

საშუალო საფეხურზე სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს არჩევით საგნებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით. მიმდინარე წელს საშუალო საფეხურზე X-XI-XII კლასში არჩეულია „ფოლკლორი და მითოლოგია“.
დამატებითი ფასიანი და უფასო მომსახურებების შესახებ სკოლა სასკოლო საზოგადოებას სთავაზობს სკოლის დერეფნებში, განცხადებების დაფაზე გამოქვეყნებით, სოციალურ ქსელში გაზიარებით. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აწვდიან ამ ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონფერენციებში და სხვა აქტივობებში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს ჩართვის შესაძლებლობა, ისარგებლოს ნებისმიერი რესურსით, დისკრიმინაციის გარეშე. ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ ქვეყნდება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას, სასკოლო ფოიეში, ზიარდება სოციალურ გვერდზე.
სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს (წრეები, კლუბები...). მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. აღნიშული ინფორმაცია ასევე ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (საფეხურის კურიკულუმებში).
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა (საფეხურის კურიკულუმები);
- მოსწავლისა და მშობლის უფლებების დაცვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, მობილობის წესი;
- მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- სკოლის პორტალი: https://shorturl.at/2tYIw
- სკოლის შიდა ბრძანებები e-Flow
- სკოლის სოციალური გვერდი;

- სკოლის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს “მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი”. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო

პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლეს, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში ხელს უწყობენ დამრიგებელი და საგნის პედაგოგები. წესში დეტალურადაა განსაზღვრული პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები, ნებისმიერ კლასში ახლადგადმოსული მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით, ყველა დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომლიც მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლეებზე. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს: კლასის საათი, ექსკურსია, გაკვეთილი სკოლის გარეთა სივრცეში, ფილმის ჩვენება, თეატრში ვიზიტი, გამოფენები, როლური თამაში, მოსწავლეთა ჩართვა სასკოლო კლუბებში. პირველკლასელებისთვის და მათი მშობლებისთვის ეწყობა ღია კარის დღე, პატარები ეცნობიან სასკოლო სივრცეს, პედაგოგებს, სკოლის განლაგებას.

   სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ისგ ჯგუფები, რომლებიც შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ გეგმებს. სკოლის მხრიდან კანონმდებლობისა და მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით ხდება ასისტენტის აყვანა.
   სკოლის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, სკოლის ინკლუზიური ფიზიკური სივრცეები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსწავლეთა ადაპტაციისათვის.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ყველა მოსწავლეს შეუძლია კონსულტაცია მიიღოს საგნის მასწავლებლისაგან აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. სემესტრის მანძილზე ხდება ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზი, გამოვლენილი შედომების განხილვა, ეფექტური უკუკავშირის, განმავითარებელი კომენტარებისა და რეკომენდაციების მიცემა. მასწავლებლები იყენებენ მრვალფეროვან აქტივობებს, რათა განსხვავებული შესაძლებლებების მოსწავლეებმა თანაბრად შეძლონ სასწავლო პროცესში ჩართვა. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები ქართულსა და მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე. დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის დასრულების

შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.
აქტივობების დაგეგმვისას იყენებენ განმავითარებელი შეფასების ეფექტურ მეთოდოლოგიას და ამის გათვალისწინებით დიფერენცირებულ მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეებს თვითრეალიზებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.
მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიღების დღეებია ყოველი პარასკევი 12:00 საათიდან 16:00 საათამდე (გარდა წინასწარ დაბარებული პირებისა). მშობლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საკუთარი შვილების აკადემიური მოსწრებას, გაესაუბრონ დამრიგებელს და საგნის მასწავლებლებს. ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე. მშობელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია შვილის მიღწევების შესახებ ნებისმიერი წყაროდან იქნება ეს ელექტრონული ჟურნალი, ტელეფონი, პირადი შეტყობინება, თუ ჩანაწერიდან მოსწავლის რვეულში. დამრიგებელი ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, თანამშრომლობს მშობლებთან და ერთობლივად ცდილობენ მოაგვარონ შექმნილი სირთულეები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია, რომ სკოლა იღებს ვალდებულებას მოსწავლეს მიაწოდოს თანამედროვე მოთოვნების შესაბამისი გაანათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დაგეგმილია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები, მოსწავლეზე ორიენტირებული და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე ეფექტიანი სწავლება და შეფასება. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ამისთვის სკოლა არის ადაპტირებული, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლემ ისარგებლოს შინ სწავლებით. განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით კურიკულუმები. სკოლის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლისთვის. მოსწავლეებს უმოკლეს ვადებში მიეწოდებათ ინფორმაცია ექსტერნატის, საშემოდგომო, სემესტრული გამოცდების შესახებ, ასევე რა ვადებში შეუძლიათ აღნიშნული გამოცდების ჩაბარება. აწვდის ინფრომაციას გასაჩივრების უფლებისა და გასაჩივრების წესის შესახებ, სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ.
მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები სკოლაში მიმდინარეობს წესების სრული დაცვით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობის დადგენილი წესით სათანადო კვალიფიკიციის მქონე კადრებით უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერას. დაგეგმილია აქტივობები, რაც ხელს უწყობს სკოლის მისიისა და მიზნების მიღწევას, მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას,

ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ყველა სასკოლო აქტივობა მხარდაჭერილი იქნება დამრიგებლების მიერ.

სკოლის ვიზუალური დათვალერებისას საკლასო ოთახებში წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები და პროდუქტები. სკოლაში განხორციელებული არაფორმალური განათლების აქტივობებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივების ამსახველი ღონისძიებები ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

სკოლაში ეფექტიანად ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ახალი თაობა“. მუშაობენ პროექტებზე, სადაც სწავლობენ კვლევა-ძიებისა და პრობლემის გადაჭრის მექანიზმებს. ასევე სამოქალაქო განათლების კლუბის წევრები მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წარმოებულ პროექტებში. თანამშრომლობენ სკოლაში არსებულ, ასევე სხვა სკოლებში არსებულ კლუბებთან და ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება აქტივობები. სამოქალაქო განათლების კლუბმა მონაწილეობა მიიღო მცირე საგრანტო კონკურსში. პროექტით: „ მრავალფეროვნება საზღვრების გარეშე“ მოიპოვა დაფინანსება. ასევე, მონაწილოება მიიღო USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში, თბილისში გამართულ სკოლა-ბიზნესის ფორუმში წარდგენილი პროექტით: „სწორი არჩევანი, წარმატებული მომავლის საწინდარია!“. პროექტი დააფინანსა კომპანია „დიო“-მ. ამ პროექტებით: პირველის შემთხვევაში მოსწავლეებს განუვითარდათ ემპათიის გრძნობა, ტოლერანტული დამოკიდებულება, მრავალფეროვანი და განსხვავებული ტრადიციებისა და კულტურის მქონე საზოგადოების მიმღებლობა. მეორე პროექტის შემთხვევაში მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაცნობა და პროფორიენტაციის კუთხით მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება. კლუბის საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები განთავსებულია სოციალურ ქსელში, შემდეგ მისამართზე.

ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი „ეკო-169“ რომელიც ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსის ფარგლებში. კონკურსის ორგანიზატორია კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „CENN”. კლუბის წევრები ჩართული არიან სხვადასხვა გარემოსდაცვით საქმიანობაში და ახორციელებენ აქტივობებს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. ეკოკლუბი თანამშრომლობს სხვადასხვა გარემოსდაცვით ორგანიზაციასთან, ნიკო კეცხოველის კონკურსში ჩართულ სკოლებთან, სკოლაში არსებულ სხვა კლუბებთან და თვითმმართველობასთან. კლუბს აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები -
https://www.facebook.com/profile.php?id=100063702804545

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა გუნდი, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში და მუსიკის მასწავლებლის მხარდაჭერით წარადგენს სიმღერებს საგუნდო შესრულებით.
https://www.facebook.com/100063671378198/videos/1311221916721862

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან, რის ფარგლებშიც ფუნქციონირებს ღირებულებითი განათლების კლუბი. კლუბი ჩართულია პროექტში „შეიცანი შენი ქალაქი“

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid035DtqK4V9sTo28cSK9C1ye1x4G87BUbjhGirVxCepwgJSxDGEXWgBKh9GxcKQg24nl&id=100068306262565

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი „საწიგნეთი“. კუბის მიზანია მოსწავლებში წიგნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებში, რომელთაც ნაკლები ინტერესი აქვთ ლიტერატურისადმი, შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოვებული მოსწავლეების აღმოჩენა და მათი უნარების განვითარება;

სკოლა აქტიურადა ჩართული სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებში: ფეხბურთის, კალათბურთის გუნდურ ტურნირებში, სპორტულ ოლიმპიადებში.

სკოლის მიმდინარე მრავალფეროვანი აქტივობები გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის ანკეტები, რითაც შესაძლებელია უკუკავშირების მიღება. მიღებული უკუკავშირები იყო გათვალისწინებული სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებისას, ასევე სტრატეგიული გეგმის შედგენისას. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ეტაპობრივად კიდევ უფრო განავითარებს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების საშუალებებსა და მეთოდოლოგიას, რაც ხელს შეუწყობს მათი მომსახურების გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ თბილისის N169 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწ. წ-ის სასკოლო სასწავლო გეგმა (საფეხურის კურიკულუმები);
- მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობელთან დასადები ხელშეკრულება;
- მშობელთა გამოკითხვის ანკეტა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო პროექტები;
- კლუბების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები (წესდებები/პროგრამები/აქტივობები);

- **სკოლის სოციალური გვერდი:** https://www.facebook.com/profile.php?id=100063671378198
- **სკოლის პორტალი:** **https://shorturl.at/2tYIw**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ხორციელდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა. მისი მიზანია:
   - მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
   - მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
   - მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

   სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯთან (მაგალითად, კოლეჯ „მერმისთან“გაფორმებულია მემორანდუმი), რომლის ფარგლებშიც IX კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს:
   - მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით;
   - მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო/პროფესიული კოლეჯის პროგრამების გაცნობას;
   - ღია კარის დღეების ორგანიზებას;
   - ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

   IX კლასის მოსწავლეებს მათ კი აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ პროფესიულ სასწავლებლებს, მოაწყონ სადამრიგლებლო პროგრამის ფარგლებში ექსკურსიები საწარმოდაწესებულებებში, გაეცნონ სხვადასხვა პროფესიებს.

სხვა კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დამრიგებლის საათის ჩატარებას ასევე, უზრუნველყოფენ შეხვედრების ორგანიზებას მშობლებთან, სადაც მშობლები მოსწავლეებს გააცნობენ თავიანთ პროფესიებს, შესაძლებელია დაინტერესების შემთხვევაში სამუშაო ადგილის გაცნობაც.

სკოლაში განხორციელდა სამოქალაქო კლუბის მიერ პროექტი „სწორი არჩევანი, წარმატებული მომავლის საწინდარია“ რომელმაც გაიმარჯვა სკოლა-ბიზნეს ფორუმზე და მოიპოვა დაფინანსება. განხორციელებულმა აქტივობებმა კიდევ უფრო მეტად სკოლის თანამშრომლობას პროფესიულ სასწავლებლებთან.

პროფესიული ორიენტაციის მიზნით დაგეგმილია აქტივობები სადამრიგებლო საათზე, სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე, სხვადასხვა საგნობრივ პროგრამებში, რაც ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია სასკოლო კურიკულუმებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

